ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N134
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ.ადიგენი 02.06.2023 **წ.**

ერთის მხრივ, **ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია,** წარმოდგენილი მისი მერის გოჩა ქიმაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი), მისამართი: დაბა ადიგენი, თამარ მეფის ქN5 საიდენტიფიკაციო კოდი: №222729162 ტელეფონის ნომერი: 0366291308 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიშის ნომერი: სახელმწიფო ხაზინა ა/ა GE24NB0330100200165022;

და მეორე მხრივ, **ფიზიკური პირი ,,გელა გიქოშვილი“** , (შემდგომში - მომწოდებელი), მისამართი: მის: ქ.ახალციხე, 9 აპრილის N12; საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ: 47001033219, ტელეფონის ნომერი: 579345258, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: სს: „საქართველოს ბანკი“, BAGAGE22; ანგარიშის ნომერი:GE96BG0000000310282100

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ადიგენის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ,,მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად უზრუნველყოს ბეტონის კონსტრუქციების გადაზიდვის მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.
(**CPVკოდი:** 63110000 - ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები);

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარი.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის პირობები:

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურება გაწიოს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მიერ მითითებების თანმიმდევრობით.

3.3. ტვირთის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია ტვირთის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველს გონივრულ ვადაში არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში აუნაზღაუროს დაკარგული/დაზიანებული ტვირთის ღირებულება.

3.4. მომსახურების გაწევის დროს დაცული უნდა იყოს: შრომისა და უსაფრთხოების, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები.

3.5 მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი უნდა გაუფრთხილდეს შემსყიდველის ქონებას. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ან/და მესამე პირის ქონების ასევე სხვა რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ზიანის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

3.6 მომსახურების გაწევის პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში. მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესისა და ნორმების სრული დაცვით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 7 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება -ჩაბარების წესი:

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა:

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ,,მიმწოდებლის" მხრიდან წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

7.1 *შემსყიდველს უფლება აქვს:*

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე:

7.2 *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3 *მიმწოდებელს უფლება აქვს:*

ა) მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

8.2. ,,მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,05%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს მთლიანი ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი, გასაწევი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში , ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი:

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

11.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. დავის გადაწყვეტის წესი:

12.1 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის განხორციელების პერიოდში განახორციელოს კონტროლი, შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების შესახებ მიზეზის მითითებით.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის/წუნი აღმოფხვრა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

13.4. კონტროლს განახორციელებს- *მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ვაჟა გუტაშვილი.***

მუხლი 14. სხვა პირობები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

14.2. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა ხელმოწერები:

,,შემსყიდველი"	**,,მიმწოდებელი"**
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მერი : გოჩა ქიმაძე	ფიზიკური პირი: გელა გიქოშვილი
ADIGENI MUNICIPALITY Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY Date: 2023.06.02 18:15:40 +04'00'	Gela Gikoshvili Digitally signed by Gela Gikoshvili Date: 2023.06.02 17:20:46 +04'00'

დანართი №1
ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	განზ.ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სატვირთო ავტომანქანით ბეტონის კონსტრუქციების გადაზიდვის მომსახურება დაბა ადიგენის ტერიტორიაზე(დატვირთა/ჩამოტვირთვის გათვალისწინებით, ზიდვის მანძილი ერთი სვლა გეზი 5კმ)	რეისი	1	100	100
2	სატვირთო ავტომანქანით ბეტონის კონსტრუქციების გადაზიდვის მომსახურება დაბა ადიგენი- სოფელი ქვემო ენთელი(დატვირთა/ჩამოტვირთვის გათვალისწინებით, ზიდვის მანძილი ერთი სვლა გეზი 10კმ)	რეისი	1	150	150
3	სატვირთო ავტომანქანით რკინა-ბეტონის(სიმკარი) კონსტრუქციების გადაზიდვის მომსახურება დაბა ადიგენი-სოფელი ბოლაჯური (დატვირთა/ჩამოტვირთვის გათვალისწინებით, ზიდვის მანძილი ერთი სვლა გეზი 10კმ)	რეისი	2	250	500
ჯამი(ლარი)					**750**